

ქეთევან ჯოჯუა

14 წლის

ქ.ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის N2 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

წერილი ევროპელ თანატოლს - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე.

საყვარელო ევროპელი მეგობარო,

მინდა მთელი გულით მოგესალმო საქართველოდან - გამორჩეული ქვეყნიდან, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში არაერთი ბრძოლა გადალახა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. მე ვარ ქეთევან ჯოჯუა, 14 წლის, ქ. ფოთის საჯარო სკოლის მოსწავლე და დღეს, როცა ჩემი ქვეყანა დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს, მინდა მოგიყვე იმის შესახებ, რა გზა განვლო საქართველომ, მას შემდეგ, რაც 1990-იანი წლების დასაწყისში დამოუკიდებლობა მოიპოვა.

საქართველო არის ქვეყანა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა თავისი იდენტობის, ენისა და კულტურის შესანარჩუნებლად. მაგრამ დამოუკიდებლობა, ნამდვილი დამოუკიდებლობა, მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას არ ნიშნავს. იგი გულისხმობს ხალხის ცნობიერების გარდაქმნას, ისეთი საზოგადოების შექმნას, სადაც თითოეული ხმა მნიშვნელოვანია, უფლებები დაცულია და შესაძლებლობები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის. საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, საქართველო მიისწრაფვის არა მხოლოდ თავისუფლებისკენ, არამედ სულიერი თავისუფლებისკენ, რომ გახდეს ქვეყანა, რომელიც მტკიცედ დგას დემოკრატიულ ღირებულებებზე და ამაყად იკავებს საკუთარ ადგილს ევროპის ოჯახში.

1990-იანი წლები საქართველოსთვის რთული იყო. როგორც ბევრი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, ჩვენ ვაწყდებოდით პოლიტიკურ არასტაბილურობას, ეკონომიკურ კოლაფსს, სამოქალაქო არეულობასა და ომს. თუმცა დამოუკიდებლობის იმ პირველმა წლებმა ძალზედ მნიშვნელოვანი რამ გამოაცოცხლა - ცვლილების ნება.

წლების განმავლობაში საქართველომ საოცარი ტრანსფორმაცია განიცადა. დემოკრატიული ინსტიტუტები დაფუძნდა, სამოქალაქო საზოგადოება გაძლიერდა, მედია გახდა უფრო თავისუფალი, ახალგაზრდებს მეტი შესაძლებლობა აქვთ და ქალები სულ უფრო მეტად იკავებენ ლიდერის პოზიციებს. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ სრულყოფილი, შორსაც კი ვართ ამისგან, მაგრამ გვაქვს მიზანდასახულობა. ჩემი თაობა, რომელიც უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადა, იზრდება ღია გონებით, დიდი ოცნებებით და ღრმად ფესვგადგმული რწმენით თავისუფლების, თანასწორობისა და ადამიანური ღირსების მიმართ.

პირადად მე ამ ცვლილებებს ვხედავ იმ შესაძლებლობებში, რაც ახალგაზრდებს გვეძლევა. შარშან გავხდი საერთაშორისო ორგანიზაცია UNICEF-ის ორგანიზებით ჩატარებული ოლიმპიადის ფინალისტი. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმ უამრავი პროგრამის, რაც საქართველოში ხოლციელდება ჩვენი ევროპელი და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით და ასეთი გამოცდილებები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის - ისინი გვაცნობენ იმ ღირებულებებს რაც ევროპასთან გვაერთიანებს და გვასწავლიან დიდი სურათის დანახვას - როგორი შეიძლება იყოს მომავალი, რომელშიც საქართველო სრულფასოვნად არის ინტეგრირებული ევროპულ ოჯახში.

ჩემთვის ევროპა მხოლოდ გეოგრაფიული ცნება არ არის. ევროპა ნიშნავს ადამიანის უფლებებზე ზრუნვას, განათლების ხელმისაწვდომობას, გარემოს დაცვას და

ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის კულტურას. სწორედ ამ ღირებულებებით გვინდა ვიცხოვროთ საქართველოშიც და მჯერა, რომ ყოველდღიურად უფრო ვუახლოვდებით მათ.

ქართველები ამაყობენ უნიკალური ანბანით, უძველესი ისტორიით და მდიდარი ტრადიციებით. მაგრამ ამავედროულად ვამაყობთ იმ მენტალური ცვლილებითაც, რაც საზოგადოებამ განიცადა. დღეს თანასწორობაზე, სამართლიანობაზე და ჩართულობაზე საუბარი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა სკოლებში, ოჯახებში, მედიაში. ვქმნით საზოგადოებას, რომელიც მიიღებს უკეთესი, უფრო ჰუმანური მომავლისკენ.

დიახ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი ჯერ კიდევ ოკუპირებულია და ეს არის ტკივილი, რომელიც არ შეხორცებულა. მაგრამ ამ გამოწვევის მიუხედავად, ჩვენ ვირჩევთ პროგრესს, გვჯერა, რომ ძლიერი, განათლებული და ერთიანი საზოგადოება ყველაზე ძლიერი პასუხია აგრესიაზე. ასევე გვჯერა, რომ ევროპელ მეგობრებთან მჭიდრო ურთიერთობით, ცოდნის გაზიარებით და მშვიდობისათვის ერთიანი ბრძოლით, ერთ დღეს აუცილებლად ვიხილავთ სრულიად თავისუფალ და მთლიან საქართველოს.

ერთ-ერთი ფრაზა, რომელიც განსაკუთრებით მარწმუნებს ამ გზის ჭეშმარიტებაში, წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ. 1999 წელს, როდესაც საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი, მან განაცხადა:

„მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი.“

ეს სიტყვები ჩვენი გულების ნაწილია. ეს სიტყვები არამხოლოდ პოლიტიკური განაცხადია, არამედ სიღრმისეული გააზრება სინამდვილეში ვინ ვართ როგორც ერი.

მვირფასო მეგობარო, იმედი მაქვს ახლა უკეთესად გაიცანი საქართველო და მის მიერ განვლილი გზა პოსტ-საბჭოთა ტრავმიდან ევროპისკენ სწრაფვამდე, გავიზარდეთ როგორც ერი და როგორც საზოგადოება. ჯერ კიდევ გზაში ვართ. ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ მჯერა, სწორად მივდივართ და დამოუკიდებლობამ მოგვცა ეს შანსი, რომ შეგვერჩია საკუთარი გზა. მაგრამ თავისუფლება ისეთი რამ არის, რაც ყოველდღე უნდა ვაშენოთ განათლებით, თანამშრომლობით და გაბედული ოცნებით.

მჯერა, რომ მე და შენ ერთ დღეს არამარტო როგორც მიმოწერის მეგობრები, არამედ როგორც ერთიანი ევროპის მოქალაქეები შევხვდებით ერთმანეთს ევროპაში, სადაც ყველა ერი ერთად დგას მშვიდობისთვის, სამართლიანობისთვის და ჰუმანურობისთვის.

Dear European friend,

I would like to greet you warmly from Georgia, a remarkable country that has overcome countless struggles over the centuries in its fight for freedom and independence. My name is Ketevan Jojua, a 14-year-old student from a public school in the coastal city of Poti. Today, as we celebrate Georgia's Independence Day, I am writing to you to share the journey my country has taken since reclaiming its independence in the early 1990s.

Georgia is a land that has fought for centuries to preserve its identity, language, and culture. But independence, true independence, is not only about gaining political freedom. It is about transforming the mindset of a people, building a society where every voice matters, where rights are protected, and where opportunities are equally shared. Since regaining independence from the Soviet Union, Georgia has been striving not just to be free, but to be free in spirit - to become a country deeply rooted in democratic values, one that stands proudly as part of the European family.

The 1990's were difficult for Georgia. Like many post-Soviet states, we faced political instability, economic collapse, civil unrest, and war. However, those early years of independence also sparked something powerful - the will to change.

Over the years, Georgia has transformed in incredible ways. Democratic institutions were established, civil society empowered, the media became more free; The youth have more opportunities than ever, and women are increasingly stepping into leadership roles. We are not perfect - far from it, but we are determined. My generation, born in an independent Georgia, is growing up open-minded, with big dreams, and a strong belief in freedom, equality, and human dignity.

Personally, I see these changes through the opportunities available to young people. Last year, I became a finalist in a contest organized by the international organization UNICEF. This is just one example of the many programs taking place in Georgia with the support of our European and international partners. These experiences are incredibly important for us; they introduce us to the values that unite us with Europe and help us see the bigger picture - what the future could look like with Georgia fully integrated into the European family.

To me, Europe means more than geography. It means a commitment to human rights, access to education, care for the environment, and a culture of respect and dialogue. These are the values we want to live by in Georgia, and I believe we are getting closer every day.

Georgians are proud of their unique alphabet, ancient history, and vibrant traditions. But we are also proud of how far we have come in terms of the mindset. Today, discussions about equality, justice, and inclusion are part of our daily life in schools, in families, and in the media. We are becoming a society that aspires to a better, more humane future.

Yes, part of our land still remains under occupation. This is a wound that hurts. But even in the face of this challenge, we choose progress; We know that a strong, educated, and united society is the best response to aggression. And we believe that by working closely with our European friends, by sharing knowledge and standing for peace, we will one day see all of Georgia free and whole again.

One of the moments that inspires me most is a speech by Zurab Zhvania, a late Chairman of the Georgian Parliament. In 1999, as Georgia became a member state of the Council of Europe, he stood up and declared:

“I am Georgian, and therefore I am European.”

These words live in our hearts. They are not just a political statement - but they deeply align with who we are as a nation.

Dear friend, I hope you now have a sense of Georgia and its journey from the post-Soviet trauma to the promise of European integration, how we have grown as a nation and as a society. We are still on the road. We have a long way to go. But I believe we are walking in the right direction; Independence gave us the chance to choose our path. Freedom, however, is something we must build every day through education, cooperation, and through the courage to dream big.

I believe that you and I will one day meet not only as pen pals, but as citizens of Europe. A Europe where every nation stands together for peace and justice.